

საზოგადოებრივი სპორტის პოტენციალის უკიდურესი პერეპეტი

"როიულ არტ ჯგუფი"

ქალაქ თბილისში მე-3 სპ. სკოლა, №10-ის
მიმდებარე ტერიტორიის სპეციალ
მოწყობის ანგარიშსწორითი პროექტი



"როიალ არტ ჯგუფი"

დირექტორი:

მისილ მასარაძე

მთ. ინჟინერი:

მისილ ფაშიაშვილი

არქიტექტორი:

გიორგი ნოზაძე

ანგარიშსწორი:

ზურაბ აიხვანიძე

აღზომის ზემადგენლობა:

1. თავფურცელი
2. საბიბულო ფურცელი
3. აღზომის ზემადგენლობა
4. ჯომჰანის რეჰვიზიტები
5. განმარტებითი ბარათი
6. მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალების სპეციფიკაცია
7. სიტუაციური გეგმა
8. გეგმა
9. რენდერები №1; №2
10. რენდერები №3; №4
11. რენდერები №5; №6

"როიულ არტ ჯგუფი"



ქ. თბილისი 2014 წ.

დირექტორი: მიხეილ მახარაძე

**ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ. N-10-ის მიმდებარე ტერიტორიის სკვერად მოწყობის
კონცეპტუალური პროექტის**

განმარტებითი ბარათი

განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ. N-10-ის მიმდებარე ტერიტორიის სკვერად მოწყობის კონცეპტუალური პროექტი, რომელიც დამუშავებულია შპს „როიალ არტ ჯგუფი“-ს მიერ.

შპს „როიალ არტ ჯგუფი“-ს შესაბამისი სპეციალისტების მიერ მოხდა განსახილველად წარმოდგენილი ტერიტორიის შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდა:

საპროექტო ტერიტორია მართკუთხედის ფორმისაა, რომელიც განვითარებულია ყოფილ ფეხბურთის მოედანზე. ტერიტორია პრაქტიკულად სწორია და მის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსები, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება კერძო სკოლა. არსებული სიტუაციით ტერიტორიას ჩრდილოეთის და სამხრეთის მხრიდან აქვს არსებულ ბეტონის ცოკოლი, რომლის სამხრეთ ნაწილში შენარჩუნებულია ნაწილობრივ დაზიანებული ლითონის ჩარჩოზე მოწყობილი ბადე. აღმოსავლეთის მხრიდან ტერიტორიას ესაზღვრება კერძო სკლის ღობე, რომელიც მოწყობილია ბლოკის წყობით არსებულ ბეტონის ცოკოლზე. აღნიშნული სკოლის ღობე შელესილია და დამუშავებულია ქვიშა-ცემენტის პიგმენტირებული შხევით. დასავლეთის მხრიდან სკვერისთვის გამოყოფილ ტერიტორიას, ასევე ესაზღვრება სპორტული მოედანი, რომელიც მთლიანად შემოღობილია ლითონის კონსტრუქციით მოწყობილი ბადით. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს სპორტული კუთხე, რომელიც მოთავსებულია ბეტონის ბორდიურით შემოფარგლულ მართკუთხა ფორმის სეგმენტზე, სადაც დაგებულია ხელოვნური საფარი.

კონცეპტუალური პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ტერიტორიის შემომსაზღვრელი ძველი ცოკოლის დაზიანებული ნაწილების აღდგენა და მის ჩრდილოეთ ნაწილზე ახალი ლითონის მოაჯირის მოწყობა.

კონცეპტუალური პროექტით გათვალისწინებულია არსებული სპორტული კუთხის შენარჩუნება. სკვერის ტერიტორიაზე სპორტული კუთხის გასწვრივ მოეწყობა ორი საჩრდილობელი „პერგოლა“, სადაც განლაგდება დასაჯდომი სკამები და მაცხოვრებლებს შესაძლებლობა ექნებათ დაისვენონ და თვალყური ადევნონ ადგილზე განვითარებულ სპორტულ მოვლენებს. სკვერის ცენტრალურ ნაწილში გათვალისწინებულია დუბლირებული მეტალო-კრამიტით გადახურული ორი ფანჩატური. საჩრდილობელ „პერგოლას“ და ფანჩატურის მზიდი კონსტრუქციული ელემენტები ლითონისგან მოეწყობა, ხოლო მზის სხივებისგან დამცავი ელემენტები ხის მასალისგან. დუბლირებული ფანჩატურის ადგილმდებარეობა ისეა გათვალისწინებული, რომ კერძო სკოლიდან გამოსულ მოსწავლეებს სპორტული აქტივობის დროს საშუალება მიეცემათ შეუფერხებლად მიაღწიონ სპორტულ მოედანს. გადახურულ დუბლირებულ ფანჩატურში გათვალისწინებულია მაგიდებისა და სკამების მოწყობა, სადაც მაცხოვრებლებს საშუალება ექნებათ დღის ნებისმიერ მონაკვეთში დაისვენონ, დაკავდნენ ინტელექტუალური თამაშებით, წაიკითხონ და გაუზიარონ ერთმანეთს პრესისა და მასმედიის სიახლეები.

საპროექტო სკვერის სამხრეთ ნაწილში ასევე გათვალისწინებულია სათამაშო ზონა მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, ხოლო მის ორივე მხარეს მოეწყობა საჩრდილობელი „პერგოლა“, სადაც ასევე განლაგდება დასაჯდომი სკამები.

ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შემდეგ, საპროექტო ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სკვერის ტერიტორიის პერიმეტრის გასწვრივ მოეწყოს სასეირნო ბილიკი, რომელზეც ადგილობრივ მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა ისეირნონ და გაიკაჟონ ჯანმრთელობა. სასეირნო ბილიკი, მცირეწლოვანი ბავშვების სათამაშო ადგილი, დუბლირებული ფანჩატური და პერგოლები გამოყოფილი იქნება ერთმანეთისგან გამწვანებული გაზონებით, რომლებიც მოეწყობა ბეტონის ბორდიურების მეშვეობით. გამწვანებულ გაზონებში მოხდება ახალი ხის (დამკვეთთან შეთანხმებით) ნერგების დარგვა, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ შექმნიან კომფორტულ მიკროკლიმატს. საპროექტო სკვერის გრძივად, გამწვანების გასწვრივ ორ რიგად მოეწყობა ღამის განათება - ღამპიონები (10 ცალი), რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას საშუალებას მისცემს დღის ბნელ პერიოდშიც დაისვენონ სკვერში.

ლითონის ელემენტების დამუშავება მოხდება ანტიკოროზიული სითხით და შეიღებება ზეთოვანი საღებავით 2 ფენად, (ტონალობა შეთანხმდება დამკვეთთან), გარდა ლითონის უჟანგავი ბადისა. საჩრდილობელი „პერგოლის“ და დუბლირებული ფანჩატურის მზიდი ელემენტები მოეწყობა ლითონის მილ-კვადრატებით (მათი გაბარიტები დაზუსტდება საბოლოო პროექტირებისას). აღნიშნული საჩრდილობელი „პერგოლის“ სვეტები ჩაბეტონდება დაახლოებით 70 სმ სიღრმეზე, რომელსაც ორი მხრიდან ექნება ლითონის ჩატანებული დეტალი. საჩრდილობელი გადაიხურება ხის „პერგოლით“, რომელიც დაიცავს მას ზედმეტი მზის სხივებისგან და შესაბამისად გადახურებისაგან. ხის ელემენტები დამუშავდება ანტისეპტიკური და ხანძარსაწინააღმდეგო სითხით, შემდეგ კი შეიღებება ოლიფით და ლაქით 2 ფენად. სავალ ნაწილზე ქვიშა-ცემენტის ბალიშზე დაიგება ბეტონის ფიგურული ფილები (ტონალობა შეთანხმდება დამკვეთთან).

დეკორატიული სკამების საერთო რაოდენობა შეთანხმდება დამკვეთთან საბოლოო პროექტირებისას. დეკორატიული სკამი მოეწყობა ლითონის დეკორატიული ელემენტებისა და ხის ელემენტებისაგან. კონცეპტუალურ პროექტში ასევე გათვალისწინებულია სანაგვე ურნებიც, რომლებიც განლაგდებიან დეკორატიულ დასაჯდომ სკამებთან.

იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო სკვერის ტერიტორიაზე არსებობს სასმელი წყლისა და კანალიზაციის ქსელი, დამკვეთის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია მოეწყოს სასმელი წყლის წყარო ე.წ. „ფანტანი“.

შპს „როიალ არტ ჯგუფი“-ს არქიტექტორები

გიორგი ნოზაძე -----

მიხეილ მახარაძე -----

მშენებლობისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალების სპეციფიკაცია


- ბეტონის ფიგურული პიგმენტირებული ფილა, სისქით 3 სმ. (ფერი შეთანხმდება დამკვეთთან).
- ქვიშა, წვრილმარცვლოვანი.
- ცემენტი, მ-300.
- ლითონის მილკვადრატები (პროფილები დაზუსტდება პროექტირებისას).
- დახერხილი ხის კოჭები, წიწვოვანი, მშრალი, დამუშავებული (პროფილები დაზუსტდება პროექტირებისას).
- ღამის განათების ლამპიონები (დიზაინი დამკვეთთან შეთანხმებით დაზუსტდება პროექტირებისას).
- ბორდიურები, ბეტონის.
- დეკორატიული დასაჯდომი სკამები (დიზაინი შეთანხმდება დამკვეთთან).
- ფანჩატურის მაგიდები (დიზაინი შეთანხმდება დამკვეთთან).
- სანაგვე ურნები (დიზაინი შეთანხმდება დამკვეთთან).
- სხვადასხვა ჯიშის მწვანე ნარგავები (შეთანხმდება დამკვეთთან).
- მაღალი ხარისხის ლაქ-საღებავები.

შ.პ.ს. როიალ არტ ჯგუფი Royal Art Group


დირექტორი

მიხეილ მახარაძე ----- ბ.ა.

სიტუაციური გეგმა



პროექტის სახელწოდება: საზოგადოებრივი სპაერის მონუმენტის ეპიგრაფიკული პროექტი	
მისამართი: პაპა ფრანკის ქ. 3-ბა ეპარხალი ქოქეხი №10	
ნახაზის სახელწოდება:	მასშტაბი
სიტუაციური გეგმა	
ფორმატი	ფურცელი
A-3	2
გამსრულებელი:  "როიალ არტ გრუპი"	
დირექტორი: მინილ მახარაძე 	
მთ. ინჟინერი: მინილ ფაშიაშვილი 	
არქიტექტორი: გიორგი ნოზაძე 	
განმარტება:	





პროექტის სახელწოდება:	
საზოგადოებრივი სივრცის მონუმენტის ეპიზური პროექტი	
მისამართი: პატი ფაშაშელას 3-მე ქვარბალი ქორეუსი №10	
ნახაზის სახელწოდება:	მასშტაბი
კანდარი №1; №2	
ფორმატი	ფურცალი
A-3	4
შემსრულებელი:  "როიალ არტ ჯგუფი"	
დირექტორი: მინილ მახარაძე 	
მთ. ინჟინერი: მინილ ფაშაშელი 	
არქიტექტორი: გიორგი ნოზაძე 	

შენიშვნა:



პროექტის სახელწოდება:

საზოგადოებრივი სივრცის
მონუმენტის ეპიზოდური პროექტი

მისამართი:
პაპა ფრანკის ქ. 3-ბა ქვარბალი
ქოქეხი №10

ნახაზის სახელწოდება:	მასშტაბი
რანდები №3; №4	

ფორმატი	ფურცელი
A-3	5

შემსრულებელი:



"როიალ არტ გრუპი"

დირექტორი:

მინილ მახარაძე 

მთ. ინჟინერი:

მინილ ფაშიაშვილი 

არქიტექტორი:

გიორგი ნოზაძე 

შენიშვნა:



პროექტის სახელწოდება: საზოგადოებრივი სპარის მოწყობის ეპიზური პროექტი	
მისამართი: პაპა ფრაველას 3-ბა კვარტალი ქოჩუკი №10	
ნახაზის სახელწოდება: რანდარი №5; №6	მასშტაბი 1:200
ფორმატი A-3	ფურცელი 6
შემსრულებელი:  "როიალ არტ გრუპი"	
დირექტორი: მინაილ მახარაძე 	
მთ. ინჟინერი: მინაილ ფაშიაშვილი 	
არქიტექტორი: გიორგი ნოზაძე 	
შენიშვნა:	